ჯიპიაი

ვენის სადაზღვევო ჯგუფი

ავტომფლობელის მესამე მხარის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობები

მზღვეველი: სს"სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი" (204426674), მის: თბილისი, კოსტავას 67, ტელ +995 322 505 111.

დაზღვევის ხელშეკრულების სახე და აღწერა: ავტომფლობელის მესამე მხარის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევა

სადაზღვევო რისკები და დაფარვა მიხედვით:

- ჩვენ ავანაზღაურებთ თანხას (ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში), რომლის გადახდასაც დაზღვეულ პირს დააკისრებს სასამართლო მის მიერ დაზღვეული ავტომობილით მესამე მხარისთვის მიყენებული ზარალისთვის, ანდა ლიმიტის ფარგლებში თანხას, რომლის გადახდაზეც მოვილაპარაკებთ დაზღვეულ პირსა და დაზარალებულ მესამე მხარეს შორის სასამართლოს გარეშე;
- ჩვენ ავანაზღაურებთ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებულ იურიდიულ ხარჯებს, რაც დაკავშირებულია ზარალის დარეგულირებასთან;

ანაზღაურდება აგრეთვე დაზღვეული ავტომობილის მართვის/გამოყენების შედეგად წარმოშობილი სხვა პირების პასუხისმგებლობა, კერძოდ:

- ნებისმიერი უფლებამოსილი მძღოლი, რომელიც მართავს დაზღვეულ ავტომობილს თქვენი ნებართვით;
- დაზღვეული ავტომობილის მგზავრი უშუალოდ მგზავრობის ან ავტომობილში ჩაჯდომა-გადმოსვლის დროს.

ყოველი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას შესაბამისი ზარალი ანაზღაურდება პოლისში აღნიშნული ფრანშიზის გამოკლებით. იმ შემთხვევაში თუ ზარალი ანაზღაურდება დაზღვეული ავტომობილის ჩანაცვლების გზით, დამზღვევი ვალდებულია მზღვეველს აუნაზღაუროს ფრანშიზის ოდენობა თქვენთვის აღნიშნული ავტომობილის გადმოცემამდე.

საერთო გამონაკლისები:

ეს დაზღვევა არ ანაზღაურებს შემთხვევას, დაზიანებას ან ზარალს, გამოწვეულს შემდეგი გარემოებებით:

- **დაზღვეული ავტომობილი გამოიყენება კომერციული დანიშნულებით – ტაქსი, სამარშუტო ტაქსი, ავტომობილების გაქირავება;**
- **დაზღვეული ავტომობილი გადატვირთულია (არ შეესაბამება მწარმოებლის მიერ განსაზღვრულ სტანდარტს) ან გამოიყენება შეუსაბამო საგზაო პირობებში (Off-road, Test Drive);**

- დაზღვეული ავტომობილის მძღოლი საპირისპირო მიმართულების სამოძრაო ზოლში საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით მოძრაობს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გამოწვეულია მესამე პირის სიცოცხლის და/ან ქონების გადარჩენის აუცილებლობით;
- ზარალი გამოწვეულია დაზღვეული ავტომობილის საპროექტო ან კონსტრუქციული დეფექტებით;
- დაზღვეული ავტომობილის მძღოლი იმყოფება ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ;
- ზარალი გამოწვეულია დაზღვეული ავტომობილის მძღოლის მიერ თვითმკვლელობით ან თვითმკვლელობის მცდელობით;
- სხვადასხვა სახის რბოლებში მონაწილება, დაზიანება ავტომობილის გამოსაცდელად გამოყენებისას;
- დაზღვეულ ავტომობილს მართავს არაუფლებამოსილი მძღოლი;
- იონიზირებული რადიაციით ან რადიოაქტიული დაბინძურებით, ატომური/ბირთვული ნივთიერებით, რადიოქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი ან სხვა სახიფათო ნივთიერების ტრანსპორტირებით;
- ომით (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი), ტერორიზმის აქტით ან მისი მცდელობით, შემოჭრით, მტრული ძალების ქმედებით, მტრული ან საომარი მოქმედებით, სამოქალაქო მღელვარებით, რაც საერთო სახალხო არეულობად იქცევა, სამხედრო ხელისუფლების მიერ (მიუხედავად იმისა, რომ ხორციელდება კანონიერად არჩეული მთავრობის მიერ), უზურპირებული ხელისფლების მიერ (როდესაც ძალაუფლებას უკანონოდ ხელში იღებს პირი ან პირთა ჯგუფი);
- თქვენს მიერ სხვა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი პასუხისმგებლობა მაინც იგულისხმებოდა უხელშეკრულებოდ;
- თუ ზარალი მიყენებულია დაზღვეული ავტომობილის მძღოლისა და/ან მგზავრების სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის;
- ზარალი მიყენებულია დაზღვეული პირის ქონებისთვის;
- თუ ზარალი მიადგა მესამე მხარის ქონებას, როდესაც ხდებოდა ამ ქონების ტრანსპორტირება დაზღვეული ავტომობილით;
- თუ მესამე მხარის ქონება იმყოფებოდა დაზღვეულის მეთვალყურეობის ქვეშ (ამ უკანასკნელს ჰქონდა მიბარებული);
- ნებისმიერი სახის მორალური ზიანი.

სადაზღვევო ანაზღაურება აგრეთვე არ გაიცემა:

- **თუ დამზღვევი ან მოსარგებლე რაიმე ხერხით გააყალბებს ან შეეცდება, რომ გააყალბოს სადაზღვევო შემთხვევა (ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დეტალი), მზღვეველს უფლება აქვს არ აანაზღაუროს შესაბამისი ზარალი. ეს პირობა ვრცელდება აგრეთვე იმ შემთხვევებზეც, როდესაც დამზღვევი შეგნებულად ზრდის ზარალის ოდენობას ან მზღვეველს აწვდის ყალბ ინფორმაციას;**
- **მზღვეველი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან, ვიდრე არ არის გადახდილი პოლისის გრაფიკით განსაზღვრული პრემიის პირველი შენატანი. მზღვეველის პასუხისმგებლობა აგრეთვე ჩერდება მომდევნო შენატანების დაგვიანების პერიოდშიც;**
- **სადაზღვევო ანაზრაურება არ გაიცემა დაზღვეულის/ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელშეკრულებით/პოლისით განსაზღვრული ნებისმიერი ვალდებულების დარღვევისას.**

ფრანშიზა:

- მესამე პირთა ქონებისათვის მიყენებული ზიანისათვის– **100 ლარი**
- მესამე პირთა სიცოცხლის/ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანისათვის- **0**

ქმედება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

- თქვენ ვალდებული ხართ სადაზღვევო შემთხვევისას დაუყოვნებლივ დაგვიკავშირდეთ 24 საათიან ცხელ ხაზზე – 2 505 111;
- ჩვენი ანაზღაურების მენეჯერი მაშინვე ჩაერთვება დარეგულირების პროცესში და გაგიწევთ შესაბამის დახმარებასა და კონსულტაციას;
- ჩვენი ანაზღაურების მენეჯერის მოსვლამდე დაუშვებელია სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომობილის გადაადგილება (გარდა საპატრულო პოლიციის წარმომადგენლის მოთხოვნის), წინააღმდეგ შემთხვევაში უფლება გვაქვს უარი ვთქვათ სადაზღვევო ანაზღაურებაზე;
- სადაზღვევო შემთხვევისას აუცილებლად გამოიძახეთ საპატრულო პოლიცია და შეადგინეთ შემთხვევის ამსახველი სრული დოკუმენტაცია. გაითვალისწინეთ, რომ ჩვენ არ განვიხილავთ სარჩელებს, თუ შემთხვევის შესახებ გვეცნობა დაგვიანებით. ამასთან ერთად ვალდებული ხართ წარმოადგინოთ ოფიციალური დოკუმენტები, რომელიც ადასტურებს შემთხვევის მომენტში დაზღვეული ავტომობილის მძღოლის სიფხიზლის ფაქტს.

წინამდებარე საინფორმაციო ფურცელი წარმოადგენს არაამომწურავ ინფორმაციას დაზღვევის პირობების შესახებ, აღნიშნული დოკუმენტი არ არის დაზღვევის ხელშეკრულების იდენტური იურიდიული ძალის. დაზღვევის პირობები და მხარეთა

უფლება მოვალეობები დგინდება და განისაზღვრება მხარეთა შორის გაფორმებული დაზღვევის ხელშეკრულებით ასევე მის საფუძველზე გაცემული სადაზღვევო პოლისით რომელიც წინამდებარე საინფორმაციო ფურცელთან ერთად წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

ავტომფლობელის მესამე მხარის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევა – საინფორმაციო ფურცელი

მზღვეველი: სს"სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი" (204426674), მის: თბილისი, კოსტავას 67, ტელ +995 322 505 111.

დაზღვევის ხელშეკრულების სახე და აღწერა: ავტომფლობელის მესამე მხარის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევა

სადაზღვევო რისკები და დაფარვა მიხედვით:
- ჩვენ ავანაზღაურებთ თანხას (ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში), რომლის გადახდასაც დაზღვეულ პირს დააკისრებს სასამართლო მის მიერ დაზღვეული ავტომობილით მესამე მხარისთვის მიყენებული ზარალისთვის, ანდა ლიმიტის ფარგლებში თანხას, რომლის გადახდაზეც მოვილაპარაკებთ დაზღვეულ პირსა და დაზარალებულ მესამე მხარეს შორის სასამართლოს გარეშე;
- ჩვენ ავანაზღაურებთ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებულ იურიდიულ ხარჯებს, რაც დაკავშირებულია ზარალის დარეგულირებასთან;

ანაზღაურდება აგრეთვე დაზღვეული ავტომობილის მართვის/გამოყენების შედეგად წარმოშობილი სხვა პირების პასუხისმგებლობა, კერძოდ:
- ნებისმიერი უფლებამოსილი მძღოლი, რომელიც მართავს დაზღვეულ ავტომობილს თქვენი ნებართვით;
- დაზღვეული ავტომობილის მგზავრი უშუალოდ მგზავრობის ან ავტომობილში ჩაჯდომა-გადმოსვლის დროს.

ყოველი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას შესაბამისი ზარალი ანაზღაურდება პოლისში აღნიშნული ფრანშიზის გამოკლებით. იმ შემთხვევაში თუ ზარალი ანაზღაურდება დაზღვეული ავტომობილის ჩანაცვლების გზით, დამზღვევი ვალდებულია მზღვეველს აუნაზღაუროს ფრანშიზის ოდენობა თქვენთვის აღნიშნული ავტომობილის გადმოცემამდე.

საერთო გამონაკლისები:
ეს დაზღვევა არ ანაზღაურებს შემთხვევას, დაზიანებას ან ზარალს, გამოწვეულს შემდეგი გარემოებებით:
- დაზღვეული ავტომობილი გამოიყენება კომერციული დანიშნულებით – ტაქსი, სამარშუტო ტაქსი, ავტომობილების გაქირავება;
- დაზღვეული ავტომობილი გადატვირთულია (არ შეესაბამება მწარმოებლის მიერ განსაზღვრულ სტანდარტს) ან გამოიყენება შეუსაბამო საგზაო პირობებში (Off-road, Test Drive);
დაზღვეული ავტომობილის მძღოლი საპირისპირო მიმართულების სამოძრაო ზოლში საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით მოძრაობს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გამოწვეულია მესამე პირის სიცოცხლის და/ან ქონების გადარჩენის აუცილებლობით;
- ზარალი გამოწვეულია დაზღვეული ავტომობილის საპროექტო ან კონსტრუქციული დეფექტებით;
- დაზღვეული ავტომობილის მძღოლი იმყოფება ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ;
- ზარალი გამოწვეულია დაზღვეული ავტომობილის მძღოლის მიერ თვითმკვლელობით ან თვითმკვლელობის მცდელობით;
- სხვადასხვა სახის რბოლებში მონაწილება, დაზიანება ავტომობილის გამოსაცდელად გამოყენებისას;
- დაზღვეულ ავტომობილს მართავს არაუფლებამოსილი მძღოლი;
- იონიზირებული რადიაციით ან რადიოაქტიული დაბინძურებით, ატომური/ბირთვული ნივთიერებით, რადიოქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი ან სხვა სახიფათო ნივთიერების ტრანსპორტირებით;
- ომით (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი), ტერორიზმის აქტით ან მისი მცდელობით,

შემოჭრით, მტრული ძალების ქმედებით, მტრული ან საომარი მოქმედებით, სამოქალაქო მღელვარებით, რაც საერთო სახალხო არეულობად იქცევა, სამხედრო ხელისუფლების მიერ (მიუხედავად იმისა, რომ ხორციელდება კანონიერად არჩეული მთავრობის მიერ), უზურპირებული ხელისფლების მიერ (როდესაც ძალაუფლებას უკანონოდ ხელში იღებს პირი ან პირთა ჯგუფი);
- თქვენს მიერ სხვა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი პასუხისმგებლობა მაინც იგულისხმებოდა უხელშეკრულებოდ;
- თუ ზარალი მიყენებულია დაზღვეული ავტომობილის მძღოლისა და/ან მგზავრების სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის;
- ზარალი მიყენებულია დაზღვეული პირის ქონებისთვის;
- თუ ზარალი მიადგა მესამე მხარის ქონებას, როდესაც ხდებოდა ამ ქონების ტრანსპორტირება დაზღვეული ავტომობილით;
- თუ მესამე მხარის ქონება იმყოფებოდა დაზღვეულის მეთვალყურეობის ქვეშ (ამ უკანასკნელს ჰქონდა მიბარებული);
- ნებისმიერი სახის მორალური ზიანი.

სადაზღვევო ანაზღაურება აგრეთვე არ გაიცემა:
- თუ დამზღვევი ან მოსარგებლე რაიმე ხერხით გააყალბებს ან შეეცდება, რომ გააყალბოს სადაზღვევო შემთხვევა (ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დეტალი), მზღვეველს უფლება აქვს არ აანაზღაუროს შესაბამისი ზარალი. ეს პირობა ვრცელდება აგრეთვე იმ შემთხვევებზეც, როდესაც დამზღვევი შეგნებულად ზრდის ზარალის ოდენობას ან მზღვეველს აწვდის ყალბ ინფორმაციას;
- მზღვეველი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან, ვიდრე არ არის გადახდილი პოლისის გრაფიკით განსაზღვრული პრემიის პირველი შენატანი. მზღვეველის პასუხისმგებლობა აგრეთვე ჩერდება მომდევნო შენატანების დაგვიანების პერიოდშიც;
- სადაზღვევო ანაზრაურება არ გაიცემა დაზღვეულის/ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელშეკრულებით/პოლისით განსაზღვრული ნებისმიერი ვალდებულების დარღვევისას.

ფრანშიზა:
- მესამე პირთა ქონებისათვის მიყენებული ზიანისათვის— 100 ლარი
- მესამე პირთა სიცოცხლის/ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანისათვის- 0

წინამდებარე საინფორმაციო ფურცელი წარმოადგენს არაამომწურავ ინფორმაციას დაზღვევის პირობების შესახებ, მასზე ხელმოწერით დამზღვევი/დაზღვეული ადასტურებს რომ გაეცნო დაზღვევის პროდუქტს მის არსს და ძირითად პირობებს, აღნიშნული დოკუმენტი არ არის დაზღვევის ხელშეკრულების იდენტური იურიდიული ძალის. დაზღვევის პირობები და მხარეთა უფლება მოვალეობები დგინდება და განისაზღვრება მხარეთა შორის გაფორმებული დაზღვევის ხელშეკრულებით ასევე მის საფუძველზე გაცემული სადაზღვევო პოლისით რომელიც წინამდებარე საინფორმაციო ფურცელთან ერთად წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. **თქვენ** — პოლისში მითითებული დამზღვევი (დამზღვევი);
1.2. **ჩვენ** — სს "სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი" (მზღვეველი);
1.3. **მოსარგებლე** — პირი, რომელიც უფლებამოსილია, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო პოლისის საფუძველზე;
1.4. **დაზღვეული ავტომობილი** — თქვენს კანონიერ მფლობელობაში არსებული და პოლისში მითითებული ავტომობილი;
1.5. **დაზღვევის ხელშეკრულება** - ხელშეკრულება ჩვენსა და თქვენს შორის, რომელიც შედგება წინამდებარე პირობების, შესაბამისი განაცხადისა და მის საფუძველზე გაცემული პოლის(ებ)ისაგან;
1.6. **დაზღვევის სერთიფიკატი (პოლისი)** — დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია თქვენს მიერ ნაყიდი სადაზღვევო დაფარვის დეტალები;
1.7. **სადაზღვევო პერიოდი** — პოლისში აღნიშნული დაზღვევის მოქმედების ვადა;
1.8. **ანაზღაურების ლიმიტი** — პოლისში მითითებული ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც ანაზღაურდება სადაზღვევო შემთხვევებით მიყენებული ზიანი;
1.9. **საბაზრო ღირებულება** — ავტომობილის საბაზრო ღირებულება დაზღვევის მომენტისათვის, ანუ თანხა, რომლითაც საქართველოს ბაზარზე იდენტური მონაცემების მქონე სხვა ავტომობილის შეძენაა შესაძლებელი;
1.10. **ფრანშიზა** — ზარალის თანხის ნაწილი, რასაც არ აანაზღაურებს სადაზღვევო კომპანია. მესამე პირთა ქონებისათვის მიყენებული ზიანისათვის ფრანშიზა — 100 (ასი) ლარი, მესამე პირთა სიცოცხლის/ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანისათვის 0 (ნული);
1.11. **ტერიტორიული საზღვრები** — საქართველო;
1.12. **სადაზღვევო ანაზღაურება** — თანხა (პასუხისმგებლობის ლიმიტის ფარგლებში), რომლის გადახდაც იურიდიულად დაგეკისრებათ თქვენს მიერ დაზღვეულიავტომობილის (ან მისი მისაბმელის) ექსპლუატაციის შედეგად მესამე მხარისათვის მიყენებული ზარალისთვის, კერძოდ - მესამე მხარის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი და/ან მესამე მხარის ქონებისთვის მიყენებული ზიანი. ანაზღაურდება აგრეთვე დაზღვეული ავტომობილის მართვის/გამოყენების შედეგად წარმოშობილი სხვა პირების პასუხისმგებლობა, კერძოდ:
1.11.1. ნებისმიერი უფლებამოსილი მძღოლი, რომელიც მართავს დაზღვეულ ავტომობილს თქვენი ნებართვით;
1.11.2. დაზღვეული ავტომობილის მგზავრი უშუალოდ მგზავრობის ან ავტომობილში ჩაჯდომა-გადმოსვლის დროს;
1.13. **სადაზღვევო პრემია (პრემია)** — თქვენს მიერ შეძენილი სადაზღვევო პაკეტის ღირებულება;
1.14. **უფლებამოსილი მძღოლი** — მძღოლი, რომლის ასაკი აღემატება 21 წელს და რომელსაც აქვს შესაბამისი კატეგორიის მოქმედი მართვის მოწმობა;
1.15. **მესამე მხარე** — ნებისმიერი პირი (ფიზიკური ან იურიდიული), რომლის ჯანმრთელობა ან ქონება დაზიანდა დაზღვეული ავტომობილის ექსპლუატაციის შედეგად, გარდა უშუალოდ დაზღვეული ავტომობილის მძღოლის და მგზავრების, დამზღვევის, დამზღვევის ოჯახის წევრების;
1.16. **იურიდიული წარმომადგენლები** — თუ ამ პოლისით დაზღვეული რომელიმე პირი დაიღუპება, ამ პარაგრაფით გათვალისწინებული დაზღვევა გავრცელდება დაღუპული პირის სამართალმემკვიდრეზე;

2. სადაზღვევო ანაზღაურება

2.1. ჩვენ ავანაზღაურებთ თანხას (ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში), რომლის გადახდასაც დაზღვეულ პირს დააკისრებს სასამართლო მის მიერ დაზღვეული ავტომობილით მესამე მხარისთვის მიყენებული ზარალისთვის, ანდა თანხას, რომლის გადახდაზეც მოვილაპარაკებთ დაზღვეულ პირსა და დაზარალებულ მესამე მხარეს შორის სასამართლოს გარეშე (იხილეთ პუნქტი 2.5.);
2.2. ჩვენ ავანაზღაურებთ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებულ იურიდიულ ხარჯებს, რაც დაკავშირებულია ზარალის დარეგულირებასთან;
2.3. სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის გაღება (იურიდიული თუ სხვა) უნდა მოხდეს მხოლოდ ჩვენთან შეთანხმებით, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებას ვიტოვებთ არ ავანაზღაუროთ ზარალი;
2.4. მესამე მხარის მიმართ პასუხისმგებლობის ფაქტის დადგომა უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტაციით;

2.5. თუ თანხის ანაზღაურება ხდება სასამართლოს გარეშე, თანხა გამოითვლება შემდეგნაირად:

2.5.1. მესამე მხარის ქონების დაზიანებისას:
• თუ მესამე მხარის ქონება მთლიანად განადგურდა — ქონების საბაზრო ღირებულებას გამოაკლდება ნარჩენების ღირებულება;
• თუ მესამე მხარის ქონება არ არის სრულად განადგურებული, ანაზღაურდება სარემონტო ხარჯები, რაც საჭიროა დაზიანებული ქონების ზარალამდე არსებულ კონდიციამდე მისაყვანად, ზარალის მომენტისათვის არსებული საშუალო საბაზრო ფასებიდან გამომდინარე;
2.5.2. მესამე მხარის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის მიყენებული ზიანისას:
• დოკუმენტურად დადასტურებული შემოსავალი, რომელსაც დაზარალებული პირი ვერ მიიღებს შრომისუნარიანობის მუდმივი (სრული ან ნაწილობრივი) დაკარგვის გამო, მაგრამ არაუმეტეს 5 (ხუთი) წლის მანძილზე მიღებული ასეთი სახის ჯამური შემოსავლისა;
• დაზარალებული პირის სამკურნალოდ საჭირო თანხები;
• დაზარალებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში, დოკუმენტურად დადასტურებული შემოსავალი, მაგრამ არაუმეტეს 5 (ხუთი) წლის მანძილზე მიღებული ასეთი სახის ჯამური შემოსავლისა. ამ პუნქტში აღნიშნული რისკის დადგომის შემთხვევაში, ზარალი აუნაზღაურდება მხოლოდ დაზარალებული პირის მემკვიდრეს (მემკვიდრეებს) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
2.6. იმ შემთხვევაში, თუ ერთი შემთხვევის შედეგად დაზარალდება რამდენიმე მესამე პირი, ხოლო დაზღვეულზე დაკისრებული ჯამური პასუხისმგებლობის ოდენობა გადაჭარბებს პოლისში მითითებულ ანაზღაურების ლიმიტს, ანაზღაურება ყოველი მხარის მიმართ მოხდება პროპორციულად (მათი ზარალის წილის შესაბამისად საერთო ზარალში);
2.7. ამ სადაზღვევო პირობებით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ჩვენ უფლება გვაქვს გადავამოწმოთ დაზღვეული ავტომობილის ტექნიკური მახასიათებლები და VIN კოდი. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ავტომობილი იმყოფება ძებნაში და/ან ავტომობილის მახასიათებლები არ ემთხვევა მისი VIN კოდის შესაბამის მახასიათებლებს (რომელსაც მოვიპოვებთ სატრანსპორტო საშუალების მწარმოებლის ან სხვა კომპეტენტური წყაროს მეშვეობით), მაშინ უფლებას ვიტოვებთ არ ავანაზღაუროთ ზარალი;
2.8. წინამდებარე პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევების დადგომისას, შესაბამისი ზარალის ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პოლისი ძალაშია;
2.9. ყოველი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას შესაბამისი ზარალის ანაზღაურება მოხდება პოლისში აღნიშნული ფრანშიზის გამოკლებით;
2.10. სადაზღვევო შემთხვევის შემდგომ, ანაზღაურების ლიმიტი შემცირდება მანამდე ანაზღაურებული თანხ(ებ)ის და ფრანშიზის ოდენობით;
2.11. სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველი იტოვებს უფლებას სადაზღვევო ანაზღაურებიდან გამოქვითოს სრული პრემიის გადაუხდელი ოდენობა;
2.12. წერილობითი პრეტენზია ზარალის შესახებ უნდა მოგვაწოდოთ სადაზღვევო შემთხვევიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის მანძილზე, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებას ვიტოვებთ არ განვიხილოთ შემოსული პრეტენზია;

3. საერთო პირობები

3.1. თქვენ ვალდებული ხართ სადაზღვევო შემთხვევისას დაუყოვნებლივ დაგვიკავშირდეთ 24 საათიან ცხელ ხაზზე — 2 505 111;
3.2. ჩვენი ანაზღაურების მენეჯერი მაშინვე ჩაერთვება დარეგულირების პროცესში და გაგიწევთ შესაბამის დახმარებასა და კონსულტაციას;
3.3. ჩვენი ანაზღაურების მენეჯერის მოსვლამდე დაუშვებელია სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომობილის გადაადგილება (გარდა საპატრულო პოლიციის წარმომადგენლის მოთხოვნის), წინააღმდეგ შემთხვევაში უფლება გვაქვს უარი ვთქვათ სადაზღვევო ანაზღაურებაზე;
3.4. სადაზღვევო შემთხვევისას აუცილებლად გამოიძახეთ საპატრულო პოლიცია და შეადგინეთ შემთხვევის ამსახველი სრული დოკუმენტაცია. გაითვალისწინეთ, რომ ჩვენ არ განვიხილავთ სარჩელებს, თუ შემთხვევის შესახებ გვეცნობა დაგვიანებით. ამასთან ერთად ვალდებული ხართ წარმოადგინოთ ოფიციალური დოკუმენტები, რომელიც ადასტურებს შემთხვევის მომენტში დაზღვეული ავტომობილის მძღოლის სიფხიზლის ფაქტს.

3.5. **საერთო გამონაკლისები – ეს დაზღვევა არ ანაზღაურებს ნებისმიერ შემთხვევას, დაზიანებას ან ზარალს, გამოწვეულს შემდეგი გარემოებებით:**
3.5.1. დაზღვეული ავტომობილი გამოიყენება კომერციული დანიშნულებით — ტაქსი, სამარშუტო ტაქსი, ავტომობილების გაქირავება;
3.5.2. დაზღვეული ავტომობილი გადატვირთულია (არ შეესაბამება მწარმოებლის მიერ განსაზღვრულ

სტანდარტს) ან გამოიყენება შეუსაბამო საგზაო პირობებში (ჭფფ-როად, თესტ Dრივე);
3.5.3. დაზღვეული ავტომობილის მძღოლი საპირისპირო მიმართულების სამოძრაო ზოლში საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით მოძრაობს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გამოწვეულია მესამე პირის სიცოცხლის და/ან ქონების გადარჩენის აუცილებლობით;
3.5.4. ზარალი გამოწვეულია დაზღვეული ავტომობილის საპროექტო ან კონსტრუქციული დეფექტებით;
3.5.5. დაზღვეული ავტომობილის მძღოლი იმყოფება ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ;
3.5.6. ზარალი გამოწვეულია დაზღვეული ავტომობილის მძღოლის მიერ თვითმკვლელობით ან თვითმკვლელობის მცდელობით;
3.5.7. სხვადასხვა სახის რბოლებში მონაწილება, დაზიანება ავტომობილის გამოსაცდელად გამოყენებისას;
3.5.8. დაზღვეულ ავტომობილს მართავს არაუფლებამოსილი მძღოლი;
3.5.9. იონიზირებული რადიაციით ან რადიოაქტიული დაბინძურებით, ატომური/ბირთვული ნივთიერებით, რადიოქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი ან სხვა სახიფათო ნივთიერების ტრანსპორტირებით;
3.5.10. ომით (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი), ტერორიზმის აქტით ან მისი მცდელობით, შემოჭრით, მტრული ძალების ქმედებით, მტრული ან საომარი მოქმედებით, სამოქალაქო მღელვარებით, რაც საერთო სახალხო არეულობად იქცევა, სამხედრო ხელისუფლების მიერ (მიუხედვად იმისა, რომ ხორციელდება კანონიერად არჩეული მთავრობის მიერ), უზურპირებული ხელისფლების მიერ (როდესაც ძალაუფლებას უკანონოდ ხელში იღებს პირი ან პირთა ჯგუფი);
3.5.11. თქვენს მიერ სხვა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი პასუხისმგებლობა მაინც იგულისხმებოდა უხელშეკრულებოდ;
3.5.12. თუ ზარალი მიყენებულია დაზღვეული ავტომობილის მძღოლისა და/ან მგზავრების სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის;
3.5.13. ზარალი მიყენებულია დაზღვეული პირის ქონებისთვის;
3.5.14. თუ ზარალი მიადგა მესამე მხარის ქონებას, როდესაც ხდებოდა ამ ქონების ტრანსპორტირება დაზღვეული ავტომობილით;
3.5.15. თუ მესამე მხარის ქონება იმყოფებოდა დაზღვეულის მეთვალყურეობის ქვეშ (ამ უკანასკნელს ჰქონდა მიბარებული);
3.5.16. ნებისმიერი სახის მორალური ზიანი.
3.6. ზარალის თავიდან აცილების მოვალეობა — თქვენ ვალდებული ხართ, მიიღოთ ყველა საჭირო და აუცილებელი ზომა, რათა თავიდან აიცილოთ სადაზღვევო შემთხვევა;
3.7. რისკის ცვლილება — თქვენ ვალდებული ხართ, დაუყოვნებლივ, წერილობით შეგვატყობინოთ დაზღვეული ავტომობილის სხვა პირის მფლობელობაში გადაცემის შესახებ.;
3.8. თქვენი მოვალეობანი — იმისთვის, რომ თავიდან აიცილოთ რაიმე სახის პრობლემა (ზარალის ანაზღაურებაზე უარის თქმის ჩათვლით) ანაზღაურების პროცესში, აუცილებლად უნდა შეასრულოთ რამდენიმე პირობა, კერძოდ:
3.8.1. დაუყოვნებლივ შეატყობინეთ საპატრულო პოლიციას სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;
3.8.2. დაუყოვნებლივ დაგვიკავშირდეთ ჩვენს ცხელ ხაზზე (2 505-111) და მოგვაწოდოთ სრული ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;
3.8.3. დაგვიკავშირდეთ, თუ ამ პოლისით დაზღვეული რომელიმე პიროვნების წინააღმდეგ ტარდება იურიდიული ზომები სადაზღვევო შემთხვევიდან გამომდინარე;
3.8.4. არასდროს აიღოთ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული პაუსიხსმგებლობა თქვენს თავზე ჩვენთან შეთანხმების გარეშე;
3.8.5. ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე მოგვაწოდოთ ცნობები/დოკუმენტები ოფიციალური ან სახელმწიფო ორგანოებიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ უფლებამოსილი ვართ, უარი განვაცხადოთ ვალდებულებების შესრულებაზე აღნიშნული საპასუხო მოქმედებების შესრულებამდე;

3.9. **ჩვენი მოვალეობანი – ჩვენ გვაქვს უფლება:**
3.9.1. თქვენი სახელით წარვმართოთ და გავაკონტროლოთ ზარალის დარეგულირების პროცესი;
3.9.2. ჩვენ გავაკონტროლებთ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებულ ნებისმიერ იურიდიულ პროცესს;
3.9.3. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა მოხდება ჩვენს მიერ სარჩელის აღიარებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში;
3.10. გაყალბება — თუ თქვენ ან რომელიმე სხვა დაზღვეული პირი რაიმე ხერხით გააყალბებს ან შეეცდება, რომ გააყალბოს სარჩელი, ამ პოლისით მისაღები სარგებელი გაუქმდება. ეს პირობა ვრცელდება აგრეთვე იმ შემთხვევებზეც, როდესაც თქვენ შეგნებულად ზრდით ზარალის თანხას ან გვაწოდებთ ყალბ დოკუმენტაციას;
3.11. ორმაგი დაზღვევა — თუკი ამ პოლისით ასანაზღუარებელი სადაზღვევო შემთხვევა დაზღვეულია აგრეთვე სხვა სადაზღვევო პოლისით, ჩვენ გადავიხდით ზარალის მხოლოდ ჩვენს წილს;

3.12. დაზღვევის გაუქმება:

3.12.1. თქვენ მიერ სადაზღვევო ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლის შემთხვევაში ვალდებული ხართ, წერილობით შეგვატყობინოთ ჩვენ ხელშეკრულების მოშლის შესახებ 1 (ერთი) თვით ადრე. პოლისის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, თქვენ ვალდებული ხართ აანაზღაუროთ გამომუშავებული პრემია და დამატებით ერთი თვის შესაბამისი პრემია პირგასამტეხლოს სახით;.

3.12.2. ჩვენ უფლებამოსილი ვართ ვადაზე ადრე მოვშალოთ სადაზღვევო ხელშეკრულება და ვალდებული ვართ ხელშეკრულების მოშლის შესახებ 1 (ერთი) თვით ადრე შეგვატყობინოთ თქვენ;

3.12.3. ჩვენ უფლებამოსილი ვართ პოლისის გრაფიკით განსაზღვრული პრემიის პირველადი შენატანის გადაუხდელობის შემთხვევაში, ან პრემიის გადახდის ვადის გადაცილებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის შემდეგ, შევაჩეროთ პოლისის მოქმედება თქვენთვის შეტყობინების გაგზავნის გარეშე და არ ავანაზღაუროთ მომხდარი სადაზღვევო შემთხვევები. ხოლო 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის შემდეგ ჩვენ უფლებამოსილი ვართ გავაუქმოთ პოლისი ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე;

3.12.4. პოლისის გაუქმებამდე დავალიანების გადახდის შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდება მისი მოქმედების ვადით, თუმცა დავალიანების პერიოდში მომხდარი სადაზღვევო შემთხვევები ანაზღაურებას არ დაექვემდებარება;

3.12.5. სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ჩვენ ვიტოვებთ უფლებას სადაზღვევო ანაზღაურებიდან გამოვქვითოთ სრული პრემიის გადაუხდელი ოდენობა.

3.13. წინამდებარე პირობებზე ხელმოწერით თქვენ ადასტურებთ, რომ ჩვენ უფლებამოსილი ვართ, თქვენ და ამ პოლისით გათვალისწინებული უფლებამოსილი მძღოლების მხრიდან დამატებითი თანხმობისა და უფლებამოსილების მინიჭების გარეშე, მივმართოთ შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს და მივიღოთ თქვენ და/ან წინამდებარე პოლისით გათვალისწინებულ ნებისმიერ უფლებამოსილ მძღოლზე (რომელთაგან იდენტური თანხმობა/ავტორიზაცია მიღებული გაქვს, თავის მხრივ, თქვენ) არსებული ინფორმაცია საგზაო მოძრაობის და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევათა შესახებ;

3.14. პოლისის პირობების შესრულების ვალდებულება — ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში ავანაზღაურებთ ზარალს, თუ თქვენ იცავთ ამ პოლისის პირობებს. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არღვევთ ამ პოლისის პირობებს, არ ასრულებთ ამ პირობებით განსაზღვრულ ვალდებულებებს ან გვაწვდით დაზღვევასთან დაკავშირებულ არასწორ ინფორმაციას, ჩვენ უფლება გვაქვს გადავცეთ ინფორმაცია თქვენს შესახებ საერთო საინფორმაციო ბაზაში, რომელზედაც ხელი მიუწვდება სხვა სადაზღვევო კომპანიებსაც;

3.15. დავების გადაწყვეტა — სადაზღვევო კონტრაქტის გარშემო წარმოშობილი დავა წყდება მხარეთა ურთერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი სასამართლოს მიერ.

3.16. დაზღვევის განახლება. დაზღვევის მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდება იგივე პერიოდით, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარემ წერილობით არ განაცხადა მისი შეწყვეტის სურვილი. განახლებული პირობები გეცნობებათ მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით (SMS);

3.17. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების/უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში, მისი ურთიერთშეთანხმებით/მორიგებით დასრულების მიზნით მხარეები, აგრეთვე დაზღვეული და მოსარგებლე მიმართავენ ა(ა)იპ „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ „დაზღვევის მედიაციის“ მედიატორს სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: 2555155, ან მისამართზე: თბილისი მოსაშვილის ქუჩა 24, ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე: mediacia@insurance.org.ge. „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ „დაზღვევის მედიაციის“ პროცესთან დაკავშირებული საერთო ხარჯების დაფინანსება ხდება „საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ საწევრო შემოსავლებიდან.